



საქართველოს ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

ეროვნული პლატფორმის საკოორდინაციო საბჭოს განმარტება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრის თაობაზე

აღმოსავლეთ პარტნიორობის საქართველოს ეროვნული პლატფორმის საკოორდინაციო საბჭო განმარტებას აკეთებს ა/წ 28 თებერვალს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან, შალვა პაპუაშვილთან გამართული შეხვედრის შედეგების თაობაზე.

ხაზს ვუსვამთ საქართველოს ეროვნული პლატფორმის წარმომადგენლების პარლამენტში ყველა ფორმატში, მათ შორის პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრების მნიშვნელობას.

მიგვაჩნია, რომ საჭიროა, ყველა შესაძლებლობის გამოყენებით გამოვხატოთ პროტესტი მმართველი უმრავლესობის წარმომადგენლების მიერ, მომზადებული "უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" ანტიკონსტიტუციური და ევროპული ღირებულებების საწინააღმდეგო კანონპროექტების პარლამენტში წარდგენის გამო.

ჩვენი მხრიდან შეხვედრაზე დაფიქსირდა პოზიცია, რომ აუცილებელია, კანონპროექტები საწყის ეტაპზევე იქნეს უარყოფილი მართველი უმრავლესობის მიერ და არ მოხდეს მათი პირელი მოსმენით მიღება. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული ნაბიჯი საქართველოს ხელისუფლებას წარმოაჩენს, როგორც პრინციპების დონეზე ანტიდემოკრატიული, ანტიევროპული ინიციატივის მხარდამჭერს, რაც შეუთავსებელია საქართველოს მიერ გაცხადებულ ევროპულ მისწრაფებებთან. ეს ნაბიჯი, დიდი ალბათობით, იქნება საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატობაზე უარის თქმის საფუძველი.

გარდა ამისა, ჩვენი მხრიდან ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ წარმოდგენილ კანონპროექტებს გამჭვირვალებასთან კავშირი არ აქვთ, ხოლო ინიციატორების მიზანია სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის აგენტებად გამოცხადება.

ვერ გავიზიარებთ შეხვედრაზე პარლამენტის თავმჯდომარის მიერ გამოთქმულ პოზიციას, გამჭვირვალების უზრუნველყოფის კუთხით საკანონმდებლო ცვლილებების აუცილებლობის თაობაზე, მით უფრო მსგავსი კანონის მიღებით. მიგვაჩნია, რომ ამ მხრივ საქართველოს საკმაოდ მაღალი სამართლებრივი სტანდარტი გააჩნია. აღნიშნულ საკითხზე შეთანხმება ვერ შედგა, რასაც მკაფიოდ გვინდა გავუსვათ ხაზი.

ამავდროულად, იმედს გამოვთქვამთ, რომ პარლამენტში გაგრძელდება პრინციპული დისკუსიები, რაშიც მზად ვართ, ჩვერთოთ იმისათვის, რომ საქართველოსთვის უადრესად დამაზიანებელი კანონპროექტები არ იქნეს მიღებული და ქვეყანამ არ დაკარგოს ევროპასთან დაახლოების უნიკალური შანსი.